№ 31 სახალხო გაზეთი № 31

კვირა, 13 ივნისი 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

თავადი ავქსენტი მიხეილის ძე და კნეინა ესმა მანუჩარის ასული ფალავები შვილებითურთ ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას საყვარელი შვილის

# ვალერიანესას.

გამოსვენება დ. ხონიდან, კვირას 13 ივნისს, დილის 9 საათზედ. დაკრძალვა სოფ. ნახუნოვოში, იმავე დღეს ნაშუადღევის 5 საათზე.
(1—6.—1)

## ქართველ თავ. აზნაურობის ახალი თეატრი და ბაღი.

ხუთშაბათს, 17 ივნისს, 1910 წ

პეტერბურგის ქართ. სამეცნიერო წრის სასარგებლოდ გაიმართება არაჩვეულებრივი წარმოდგენა-სეირნობა კ. ფოცხვერაშვილის და ალ. წუწუნავას მონაწილეობით:

I

### პირ მზე

მუსიკა კ. ფოცხვერაშვილისა, სიტყვები მოთა დადიანისა.

II

### ზეინაბის და ოთარბეგის გასამართლება

(შარჟი PAR-DON-ასი)

ესპანიელი მოცეკვავი M-LLE NERO და სხვა მრავალი გასართობი ნომრები. სხვათა შორის ბოშათა გუნდი „ნატა შილის" მეთაურობით.

III

### უზარ მაზარი ცირკი

კლოუნები, მოჭიდავენი ატლეტიკის პროფესორის პოდმუხინის მეთაურობით, ჯამბაზები და სხ. იმიტაციები სხვა და სხვა გამოჩენილ მომღერლების, არტისტების და პოეტებისა.

ბ ა ღ შ ი ს ე ი რ ნ ო ბ ა.

რგოლთა სროლა, პტიშვა, კონფეტი და სხ. სეირნობა დაიწყება საღამოს 6 საათზე, წარმოდგენა $8^1/_2$ ს. ფასი: ბაღში შესვლა დიდებისათვის 30 კ. მოწაფეთათვის 15 კ. თეატრში ფასები 2 მ. 60 კ.—40 კ.-მდე.

რეჟისორი ალ. წუწუნავა. დიასახლისი კნ. ელ. ვახ. ვაჩნაძე.

თეატრში შესვლა მოწაფეთ არ შეუძლიანთ პოლიციის განკარგულებით. დაწვრილებით აფიშებში.

## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ოთხშაბათს, 16 ივნისს, 1910 წ.

ქართულ დრამატიულ არტისტებისაგან სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქნება

I. ა-მ მ ა — დრ. 5 მ. და 6 სურათ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: კარგარეთელი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი შ. საფაროვი, გ. ჭელიძე, დ. მგალობლიშვილი, ა. მატარაძე, ი. გრიშაშვილი, კულაშვილი, ანაშვილი, მაისურაძე, კაპანაძე, ალექსიძე და სხვ.

II. საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობენ: ქ-ნი მ. გ. მუსხელაშვილი, ბ-ნნი: ი. გრიშაშვილი, გ. ჩუბინოვი და ელიოზოვი.

ადგილების ფასი 10 კ.-დან 1 მ.-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. გამგე ა. ჭელიძე.

## ექ. ვ. ლამბაშიძის სანატორიუმი

პატარა ცემში

გაიხსნება 15 ივნისს ორის განყოფილებით:

ერთი—საბავშო, მეორე—დიდებისათვის.

დაწვრილებით პირობების გასაგებად მსურველთ უნდა მიმართონ წერილით ექიმს ვახტანგ ლამბაშიძეს ბორჯომით პატარა-ცემს.
(25—11)

## ავლაბრის თეატრი

(დირექცია ამო-ხარაზიანისა).

კვირას, 13 ივნისს, 1910 წელს

ქართული დრამატიული დასის არტისტების ქ.ქ. ნ. კოლხიდელის, პ. მღვიმის, ბ. ნებიერიძის; ბ.ბ. ი. ზარდალიშვილის, ს. ივანიძის, გ. მატარაძის, შ. საფაროვის და ა. ჭელიძის მონაწილეობით პირველად ავლაბრის სცენაზე წარმოდგენილი იქნება ა. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა

### „ღ ა ლ ა ტ ი"

ისტ. ლეგ. 5 მ., თარგ. გ. ყიფშიძის მიერ.

ადგილების ფასი 10 კ.-დან 1 მ.-მდე. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

ბილეთების ყიდვა შეიძლება ყოველ დღე თეატრის კასაში, კონტრამარკა არავის მიეცემა. გამგე გ. მატარაძე.

## ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ მომავალ 1910—1911 სამოსწავლო წლის დაწყებიდან გიმნაზიაში სწავლის ფულის რაოდენობა გადიდებული იქნება —70 მან. მაგიერ 80 მანეთი იქნება გადასახდელი. (3—6.—3)

## ბალი მუზა

მიხაილოვის პროსპექტი № 163. კუთხე ბაქოს ქ.

ყოველდღე უკრავს სიმებიანი ორკესტრი.

დივერტისმენტი ქ-ნ თამარინისა, რომელიც შეასრულებს რამდენიმე ნომერს, მაქსიმ გორკის ტიპსა და სხვ.

ბ. ბ. პოზნანსკები შეასრულებენ მოლოროსიულ დუეტს.

ბ-ნი გარსკი ბასი კონტტ და სხვ.

ბალი მშვენივრად არის მოწყობილი. არის ბუფეტი და აგრეთვე აზიური და ევროპიული სამზარეულო ცნობილ მზარეულის ხელმძღვანელობით. ბალში შესვლა უფასოა.

ანონსი: ახლო მომავალში ელიან ხოროს.

(25—6) პატივისცემით დ. ლ. თულაშვილი.

—კვირას, 13 ივნისს, დიდუბეში, ეკლესიის მახლობლად მარცხნივ მხარეს—

გ ა ი მ ა რ თ ე ბ ა კ ა ვ კ ა ს ი უ რ ი



## ჭიდაობა

წმიდა ნინოს სასწავლებლის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ

დღეს იჭიდავებს 7 წყვილი:

### კულა გლდანელის

თანადასწრებით

1. გიორგი ჯიბგირი და ხეჩატურ მნაცაკანოვი (ნახიჩევნელი); 2. ლადო გელაშვილი და მიხელ ჩაგროვი; 3. მიხეილ ლიტვინოვ ი და მამედ ამინ ჩაფალოვი; 4. ნიკა ტიგიშვილი და დათიკო ხაჩილავა; 5. შაშუა ვერელი და ლევან დვორნიკი; 6. პატარა კახელი და შაქრო დალაქი ვერელი; 7. ერეკლე კახელი და გეურქა ნავთლუღელი.

ჭიდაობის მოყვარენი:

1. ისაკა მთიული და ავჭალელი; 2. ზურაბა მეთევზე და სანდრო კბილაშვილი; 3. მიხაკა გულაშვილი და შაქრო ფურცელაძე; 4. ვანო ლომიძე და ვანო ნავთლუღელი; 5. მესხიშვილი და სანდრო თედიაშვილი.

ადმინისტრაციას აქვს სრული უფლება შესცვალოს მოჭიდავენი.

ადგილების ფასი: ლოჟა 4 მ., 1-ლი რიგი 80 კ., 2—60 კ., 3 და 4—50 კ., გალერეია 30 კ. დასაწყისი საღამოს $5^1/_2$ საათზე. ადმინისტრატორი ნ. კიკნაძე.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ზ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (წლ.—ნ.—363)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელ. მკ. ორშ., ოთხშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და ხას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირაძოვი რ. ზ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ზ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

სოზოილევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. სათასურით. (200—ნ.—202)

## ქუთაისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ქალაქის საბჭოს 1909 წლის ნოემბრის 16 რიცხვის დადგენილება სალორიაში, საფიჩხიასა და კახიანურში მდებარე ქალაქის

### სამოსახლო ადგილების

მოიჯარადრეთაგან შეყიდვის შესახ ბ უკვე ძალაში შევიდა და მოიჯარადრეთ შეუძლიათ შეიყიდონ ადგილები. (3—ნ.—2)

**ქართული** დრამატიული საზოგადოების გამგეობა სთხოვს ყველას, ვისაც საზოგადოების წიგნთსაცავიდან პიესები და როლები აქვს წაღებული, სხქაროდ უკანვე დაუბრუნოს გამგეობის სადგომში ბიბლიოთეკის გამგეს იოსებ იმედაშვილს.

(5—1) ქართ. დრამ. საზ. გამგეობა.

## განცხადებების მომკრები აგენტი

### მ. ა. გაშუნია

გადავიდა მიხეილისა და კიროჩნის ქ. ქ. კუთხეში, სასტუმრო „იმპერიალში" და კვლავ განაგრძობს მუშაობას. (10—9)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ქაჭების) ხატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—38.—65

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება $9^1/_2$-დან 5 ს.-დე.

ხარაძე—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოვცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოგოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

გნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

ნოვიცკი—ქალებ., ყოველდღე 1—2 ს.

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—$12^1/_2$ საათ.

ხატისოვი ნ დ.—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.

მიკირტუმოვი მიხტარიანცის ნაცვლად) დილის $10^1/_2$—$11^1/_2$ ს. ყოველ-დღე.

ფონდოევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

ლიმონი—კბილის ექიმი. ყოველ დღე 9—$11^1/_2$ ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—ნ.—52)

**ექიმი** დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორლის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა. (0—586—456)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—203)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—83)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა. ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—146)

## მოითხოვეთ ყოველგან

ნამდვილი ხვირისა და კახური ღვინოები

### ჩაჩიბაიასი

იყიდება ყველა გასტრონომიულ მაღაზიებში და სასტუმრო-რესტორანებში.

უმთავრესი საწყობი იმყოფება ვაგზლის ქუჩაზე № 13.

პატივისცემით ჩაჩიბაია.
(20—გაყ.—2)

## დ. სურამის კერძო პროგიმნაზიაში

1 ენკენისთვიდან იხსნება მეორე კლასი. მისაღები ეგზამენები დაიწყობა 25 მარიამობისთვიდან 1910 წლისა. (5—314—4)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

თავად-აზნაურობამ, როგორც ჩვენს მკითხველსაც ეცოდინება, ათასი მანეთი ასესხა გაზ. „ზაკავკაზიე"-ს. საზოგადო კრებაზე ამის შესახებ დეპუტატთა საკრებულოს შეეკითხნენ და პასუხად თავმჯდომარისაგან მიიღეს, გაზ. „ზაკავკაზიე" ჩვენს ინტერესებს ემსახურებაო. თუ რამდენად სასარგებლო ყოფილა გაზ. „ზაკავკაზიე"-ს მოღვაწეობა, ამის დასამტკიცებლად თავმჯდომარემ შემდეგი გარემოება მოიყვანა. ერთხანად გაზ. „ზაკავკაზიე"-ში იბეჭდებოდა წერილები ბ. ან—ფარისა, რომლებმაც შესაფერი გავლენა იქონია მთავრობაზეო. ამის შესახებ გაზ. „ნოვ. რეჩ"-ში, ბ-ნი „ცენზევოი" შემდეგს ცნობას გადმოგვცემს.

გაზ. „ზაკავკაზიე"-ს „სესხი" დეპუტატთა საკრებულოს განკარგულებით 1909 წლის ნოემბრის დასასრულში მიეცა. ბ. ან-ფარმა კი სრულიად დაანება თავი ამ რედაქციის, რაც კიდეც განაცხადა საჯაროთ ადგილობრივ გაზეთებში, სხვათა შორის, გაზ. „ზაკავკაზიე"-შიაც ეს მოხდა ივლისში, ე. ი. ოთხი თვით იმაზე ადრე, როცა ეს სესხი მიეცა „ზაკავკაზიე"-ს.

თავმჯდომარემ ბ. ან-ფარის წერილების მეტი საყურადღებო ვერაფერი მოიყვანა გაზ. „ზაკავკაზიე"-ს დახმარების მორალურ გამართლებისათვის, და ისიც სრულიად უსაფუძვლო ყოფილა. სხვა რაში გამოიხატება „ზაკავკაზიე"-ს სამსახური, ალლაჰმა უწყის.

* *
*

სახელმწიფოს სათათბიროს მოქმედებამ გაალაღა მთავრობა; უკანასკნელი დირწმუნებული იყო, რომ მის სურვილებს წინ არავინ აღუდგებოდა და ერთხმად დაადასტურებდა იმას, რაც, სამართლიანათ თუ უსამართლოთ, ქვეყნის საკეთილ-დღეოთ მიაჩნდა. ცოტა არ იყოს მოლოდინი გაუმტყუნდა, და მთავრობის ოფიციოზმა, „როსია"-მაც სულ სხვა კილოზე დაიწყო ლაპარაკი. იგი იძულებული ხდება სათათბიროს მოქმედება გაამართლოს და მადლობა გადაუხადოს:

„სახელმწიფო სათათბირომ შეასრულა რუსული ნაციონალური საქმე,—ამბობს ოფიციოზი, ეს საქმე დიდმნიშვნელოვანია, მასში არის მომავალი ჩვენი კულტურული პროგრესისა. მან დაიმსახურა რუსის ხალხის მადლობა და ფართო ყურადღება. ის რაც მან გააკეთა, სავსე არის ღრმა კულტურული აზრით".

რაღა უნდა ოფიციოზს? მას შეუძლიან სიხარულს მიეცეს,

მცხოვრებლები ღირსეულად დააფასებენ ღვაწლს და მადლობასაც მიუძღვიან ამ ღვაწლის დამდებთ შენიშნავს ამის გამო „რუსკ. ვედ."—ყოველი დიადი საქმე თითონვე ლაპარაკობს თავის თავის შესახებ. ჭეშმარიტი ნაციონალური საქმე, ღრმა კულტურული აზრით, ყოველთვის ჰპოებს ამოძახილს ხალხში" მაგრამ ოფიციოზს მაინც რაღაცა მოსვენებას არ აძლევს. საქმე არც ისე კარგა ყოფილა დაყენებული, როგორც იდუმალი გრძნობები გულს უღრღნიან. მას თურმე „გამარჯვებულთა" ბედ-იღბალი აშინებს, როდესაც დეპუტატები ამომრჩეველთ წარუდგებიან, რა პასუხი უნდა გასცენო. განსაკუთრებით აშინებს ოპოზიციის იმედები მეოთხე სათათბიროზე.

როდესაც მოვა დრო მეოთხე ს. სათათბიროს არჩევნებისა, კადეტები და მათი ამქრები ეცდებიან სასტიკი ბრძოლა გამოაცხადონ ეხლანდელს სათათბიროს უმრავლესობას. ეს იქნება ბედის გადამწყვეტი ომი და ისინიც დროს არ კარგავენ. ეხლავე მზადდება შესაფერი ამომრჩეველი. სრულის სიმართლით ვაღვიარებთ, რომ მემარცხენე ჯგუფების ხელმძღვანელნი მჭიდრო თანხმობით და დიდი ენერგით მოქმედებენ.

ოფიციოზი აფთხილებს, ვისაც ჯერ არს, და წინ-დახედულად მოქმედებას ურჩევს. ამაზე „რუს. ვედ." სამართლიანად შენიშნავს.

„რა ადგილი უნდა ჰქონდეს გაფრთხილებას და რჩევას იქ, სადაც თავის მოქმედებას ჭეშმარიტებად აღიარებენ და გამარჯვებას დღესასწაულობენ, თუ ეს გამარჯვება კითხვითი ნიშნის ქვეშ არ არის და ჭეშმარიტებასაც მოკლებული? რათ აშინებთ მათ მოწინააღმდეგეთ გამოსვლა? ეს გაუგებლობა იმის მიზეზია, რომ მათ, ვინც ერთმანეთში ურევენ „სამშობლოს" და „მათ აღმატებულების" შინაარსს, არ დაჰკარგვიათ ყნოსვა და ძლიერ კარგათ ესმისთ, რომ რაც მათ აღიარეს დიადი ჭეშმარიტებად მას შთამომავლობა სხვა თვალით შეხედავს.

ოფიციოზი ცდილობს, მაგრამ დაუჯერებს კი მას სრულებით გამოცდილი ამომრჩეველი?

## სახელმწიფო საბჭო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო)

11 ივნისის სხდომა.

საბჭომ განაგრძო კამათი ფინლანდიის კანონ-პროექტზე. პროფესორმა **გრიმმა** განაცხადა, კანონ-პროექტის მომხრენი უმაღლესად გამოცემულ აქტებს იმ მნიშვნელობას არ სძლევენ, რომელიც უნდა მიეცესო. **სტახოვიჩმა** პასუხი გასცა დეიტრიხსა და სუხოტინს და სთქვა, რომ არას დროს არ მილაპარაკნია ჩემ ფინლანდიელ მეგობართა საბუთებზე, ვლაპარაკობდი მხოლოდ იმ საბუთებით, რომელიც მივიღე ფინლანდიის მეგობართაგან. **ბუტკევი**-

ჩმა განაცხადა, კანონ-პროექტი უცვლელად უნდა მივიღოთ, რადგან თუ მივიღებთ მოწინააღმდეგეთა აზრს, მაშინ უკრაინასაც უნდა მივანიჭოთ ავტონომია—სერგეევიჩის შეხედულებით უკრაინა პირადის უნიით შეუკავშირდა რუსეთსა.

კამათი დამთავრდა. კანონ-პროექტი დიდი ხმის უმრავლესობით მიღებულ იქმნა. შემდეგ სათათბირო შეუდგა პროექტის მუხლობრივ განხილვას. რამდენიმე წევრმა შეიტანა შესწორებანი. ზოგიერთებმა მოითხოვეს პირველი მუხლის სრულიად უარყოფა. შესწორებათა მიღება შეზღუდულ იქნა დროთი, ხოლო პირველი მუხლი უმრავლესობამ მიიღო სათათბიროს რედაქციით. მეორე მუხლის განხილვის დროს სიტყვა წარმოსთქვა სტოლიპინმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, რომელმაც კანონ-პროექტის მოწინააღმდეგეთა სიტყვებს მიაქცია ყურადღება და განაცხადა: ზოგიერთა ორატორმა სთქვა, ვითომ კანონ-პროექტის მიღებით ფინლანდიის ავტონომია უქმდებოდეს. ეს მართალი არაა, არც ფინლანდიის კანონ-მდებლობის შეჩერება, ანუ ეგრედ წოდებული გაფიცვა მოჰყვება ამ კანონ-პროექტის მიღებას.

ეს მართალი არაა, სთქვა სტოლიპინმა, სანამდის შესაფერი კანონები არ იქნება გამოცემული საერთო-საიმპერიო კანონმდებლობის სახით, ფინლანდიის სეიმი ისევე იმოქმედებს, როგორც დღემდე მოქმედებდა. ფინლანდიას ავტონომია არ ერთმევა. იცვლება მხოლოდ წესი კანონმდებლობისა. სეიმი თავის აზრს გამოსთქვამს ამა თუ იმ საკითხზე, შემდეგ სახელმწიფო სათათბირო და საბჭო ფინლანდიელ დეპუტატთა მონაწილეობით განიხილავენ კანონ-პროექტს. იმედი მაქვს, ეს საკანონმდებლო დაწესებულებანი დიდის ყურადღებით მოეპყრობიან ფინლანდიელ დეპუტატთა სიტყვებს.

კოვალევსკიმ პასუხი გასცა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს და განაცხადა, რომ ამ სიტყვის შემდეგ, უფრო ნათლად გამოირკვა ფინლანდიის სეიმის კანონმდებლობით უფლების მოსპობა. მეორე მუხლის შესახებ შეიტანეს შესწორებანი, მაგრამ უმრავლესობამ უარჰყო, მეორე მუხლი მიღებულ იქნა სათათბიროს რედაქციით, შემდეგი სხდომა მოხდება ორშაბათს, 14 ივნისს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 ივნისი.

## საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს ათინიდან ატყობინებენ, განზრახულია ნაციონალურ კრების არჩევნები 1 აგვისტოსთვის დაინიშნოსო.

**სოფია.** სლავიანთა ჟურნალისტების კრება გაიხსნება 21 ივნისს და სამს დღეს გაგრძელდება. გამზადებულია მოხსენებანი ჟურნალისტთა კავშირის დანიშნულების, ისტორიულ მიმოხილვის, ბოლგარულ მწერლობის დღევანდელ მდგომარეობის და სხვ. შესახებ. 23 ივნისს მოხდება საერთო სლავიანთა კავშირის მორიგი წლიური კრება.

**ლონდონი.** „დეილ ტელეგრაფის“ პეტერბურგელი კორესპონდენტი „კონტემპორარი—რევიუ“-ში სწერს, რომ ამ დღეებში ხელს მოაწერენ რუსეთ-იაპონიის ახალ შეთანხმებას, რომლითაც მანჯურიის რკინის გზის მეურნეობაში ორივე სახელმწიფოები ერთმანეთს დაეხმარებიანო.

**ბერლინი.** მექსიკიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ სამხედრო მატარებელის გადაბრუნების დროს 37 კაცი მოკვდა და დაშავდაო.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს ცნობებით გაფიცვა სამხრეთის რკინის გზებზე გათავდა. გაფიცულებს მთავარი მოთხოვნილებანი დაუკმაყოფილეს.

**სერაევო.** სეიმმა მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც იმპერატორს კონსტიტუციის ბოძებისთვის მადლობას უხდის და ამბობს—პატრიოტულ მოვალეობად ვსთვლი შევნიშნო, რომ დღევანდელი კონსტიტუცია არაჰქმნის მტკიცე საფუძველს ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის, რომელიც ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებათ უნდა შეესაბამებოდესო.

**პარიზი.** ფერდინანდმა მიიღო დიპლომატიურ მისსიების წარმომადგენელნი. ელისეს სასახლეში სადამოთი ფალიერმა სადილი გაუმართა ფერდინანდს და ელეონორას. სადილს დაესწრნენ ზგრეთვე პალატების პრეზიდენტები, მინისტრები, დიპლომატიური მოღვაწენი, ხელოვნების და მეცნიერების წარმომადგენელნი. ფალიერმა სადღეგრძელო წარმოსთქვა და მიუთითა ფერდინანდის მშვიდობიანობის მოყვარეობაზე, გაიხსენა საფრანგეთის და ბოლგარიის კეთილი განწყობილება და სთქვა, რომ საფრანგეთი კვლავაც აღიმაღლებს ხმას სამართლიანობის, სოციალურ პროგრესის და განვითარების სასარგებლოდაო. ფერდინანდმა საპასუხო სადღეგრძელო წარმოსთქვა და სხვათა შორის განაცხადა: როცა კი საჭირო იყო საფრანგეთი მუდამ ზნეობრივ დახმარებას უჩენდა ბოლგარეთს, მან ხელი შეუწყო აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დამყარებას, საფრანგეთი და ბოლგარეთი თავისუფლებისადმი სიყვარულით არიან შეკავშირებულნი. ბოლგარეთი თავს იხრის საფრანგეთის მიერ ჰუმანიტურ იდეებისთვის ბრძოლაში მოპოვებულ დიდების წინაშე და თავისუფლების ტრიუმფი ქედს ხრის ლიტერატურის, ხელოვნების და მეცნიერთა დიდებულ აღმოჩენათა წინ. საფრანგეთმა მეგობრულად გაუღო კულტურით ახალგაზრდა ბოლგარეთს ცივილიზაციის, თავისუფლების იდეის, სამართლიანობის და სოციალურ პროგრესის სალაროს კარი, რასაც ვცდილობ განვამტკიცო ჩემს ერში, რადგან სახელმწიფოს აყვავება უპირველესად ყოვლისა დამოკიდებულია გონებრივ კულტურისაგანაო. სადილის შემდეგ ფერდინანდი ესაუბრა პოლიტიკურ მოღვაწეებს.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს ცნობებით საქმეთა მდგომარეობა კრიტეზე გაუმჯობესდა, რადგან კრიტელებმა სურვილი განაცხადეს—ოთხ მფარველ სახელმწიფოთა რჩევას დაუჯერებთო. ეს სახელმწიფოები ეხლა თათბირობენ იმაზე—გაუგზავნონ თუ არა კრიტეს საერთო ნოტა, რომელშიაც უფრო მკაფიოდ იქნება აღნიშნული სულთანის უფლებანი და ხელმეორედ ნაჩვენები იქნება, რომ მაჰმადიანი დეპუტატები დაუფიცებლად შეუდგნენ თავიანთ მოვალეობის აღსრულებას. მფარველი სახელმწიფოები მეგობრულად მოქმედებენ. ახალი მოლაპარაკება მხოლოდ ახალ ნოტის რედაქციას ეხება. იგინი თანახმანი არიან გაგზავნონ კრიტეზე დამატებითი სამხედრო გემები ნაციონალურ კრების გახსნამდე.

## რ უ ს ე თ ი

**გჟატსკი.** სიჩევკიდან გჟატსკის გადაწვის შესახებ ცნობა გადამეტებულია. 9 ივნისს დილით სხვა და სხვა ნაწილში ცეცხლი ორგან გაჩნდა. ერთგან დაიწვა ერთი სახლი, მეორეში ცეცხლი მაშინვე ჩააქრეს. ამ უკანასკნელ კვირა ნახევარში ცეცხლი ეს მესამედ გაჩნდა.

**იაროსლავლი.** ლიუბინში ციმბირის ჰირით ავად გახდა ერთი კაცი.

**დმიტროვსკი.** (ორლოვ. გუბ.) შამშევის მამულში მოჰკლეს დარაჯი. მკვლელი მძიმედ დასჭრეს. მისი ამხანაგი დააპატიმრეს.

**მოსკოვი.** ერობათა წარმომადგენლების თათბირზე დაადგინეს სახალხო განათლების საკითხის გადასაწყვეტად კრება 1911 წ. თებერვალში გამართონ.

**რადომი.** მოვიდნენ სენატორ ნეიდგარტის რევიზიის მოხელენი ადგილობრივ სახელმწიფო ქონებათა მართველობის სარევიზიოდ.

**ცარიცინი.** სადგურ ბეკეტოვსკაიას ახლოს იწვის ხე-ტყის საწყობები.

**მინსკი** ბობრუისკის მაზრის სოფელ ტელუშში ცეცხლმა განადგურა 86 სახლ-კარი.

**კიევი.** ინჟენერთა უწყების სენატორულ რევიზიის გამო გაჩხრიკეს მოშევსკის სამანქანო ქარხანა. გაჩხრიკეს აგრეთვე ბუხჰალტერი. წაიღეს წიგნები.

**ეკატერინობურგი.** სეტყვამ და ძლიერმა ქარიშხალმა დიდი ზარალი მიაყენა მცხოვრებლებს. ბევრ სახლს ბანი მოგლიჯა, ფანჯრები ჩაამტვრია.

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **მუშების გაფიცვა და ფაბრიკის დირექტორის გალახვა.** 11 ივნისს, დილის შვიდის ნახევარზე სააქციონერო საზოგადოება „მირ“-ის ფაბრიკის მუშებმა მუშაობა შესწყვიტეს და ფაბრიკის დირექტორი ანტონოვი გალახეს. ფაბრიკაში მოვიდა უბნის ბოქაული და გამოარკვია: გაფიცვის წინა დღით ფაბრიკის ადმინისტრაციას დაუთხოვია 10 მუშა, რომელნიც განმანთავისუფლებელ მოძრაობის დროს რამდენჯერმე გაფიცულან და ადმინისტრაცია იძულებული გამხდარა მათთვის ჯამაგირი 30%-დე მოემატებინა. ამ ჟამად ამდენი ჯამაგირის მიცემა ადმინისტრაციას სამძიმოდ მიუჩნევია და 10 ივნისს 10 მუშა დაუთხოვია. მუშებისათვის, პოლიციის ცნობით, ადმინისტრაციას ჯერ კიდევ 5 ივნისს უცნობებია, რომ ისინი დათხოვნილნი არიან, მაგრამ მათ მუშაობა მაინც გაუგრძელებიათ, რათა მიეღოთ 4 თვის ჯამაგირი და არც ის ფული ჩათვლოდათ ანგარიშში, რომელიც მათ ავანსად ჰქონდათ მიღებული. ადმინისტრაცია ამაზე არ დათანხმებულა და მუშებისათვის ჯილდოდ სამ-სამი თვის ჯამაგირი შეუძლევია. მუშებს ეს წინადადება უარუყვიათ და 11 ივნისს, დილის 7 საათზე მისულან ფაბრიკაში იმ აზრით, რომ მათ ადგილას მიღებულ მუშა-ქალებისთვის მუშაობაზე ხელი აელებინებიათ. მათთვის წინააღმდეგობა გაუწევიათ დირექტორს ანტონოვს და მოსამსახურეს მიხაილოვს; მუშებს ორთავენი გაულახავთ. საერთო არეულობისა და ჩხუბის დროს ყველა მუშებს მუშაობაზე ხელი აუღიათ და მუშაობა კანუახლებიათ მხოლოდ პოლიციის წინადადებით. პოლიციამ დააპატიმრა შემდეგი პირნი; გრიგოლ იოსების ძე შაქარაშვილი, გალუსტ ალექსანდრეს ძე მირველოვი, ივანე ისაკის ძე კასნიშვილი, გეურქ სარქისის ძე აივაზოვი, ალექსანდრე ივანეს ძე მესტუმარნოვი, არჩილ ალექსისძე თევზაძე, ახმეტელაშვილი, გიორგი გაბრიელის ძე მუხათგვერდელი და ალექსანდრე პეტრეს ძე მამულოვი. პოლიციის ცნობებით, უმთავრესი დამნაშავენი და წამქეზებლები იყვნენ: გიორგი მუხათგვერელი და გეურქ აივაზოვი. გამოძიებას შეუდგნენ.

✦ **ახალი გაზეთი.** ტფ. გუბერნატორმა ნება დართო ვლადიმერ კ. ნიშევს გამოსცეს ტფილისში ყოველ-დღიური რუსული გაზეთი „ტფილისის რეკლამა“.

✦ **იუბილეი.** კავკასიის მთავარ სამართველომ ნება დართო სოხუმის ოლქის უფროსს შეადგინოს კომისსია, რომელიც მოაწყობს საქმეს აფხაზეთის ასი წლის რუსეთთან შერთების აღსანიშნავად.

✦ **ექსკურსია.** 6 და 7 ივნისს კავკავზე გაივლიან ტფილისში შემდეგი ექსკურსიები: მასწავლებლები ყუბანის მარინის საქალებო ინსტიტუტისა, მოწაფენი ლაზარევის აღმოსავლეთის ენების ინსტიტუტისა და მოწაფე ქალები პეტერბურგის კერძო გიმნაზიისა. ყველა ეს ექსკურსიები ფეხით გაემგზავრნენ სამხედრო გზაზე და დევდორაკის საყინულეს დასათვალიერებლად გაჩერდნენ.

✦ **ქალაქის საბჭო.** ორშაბათს, 14 ივნისს, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება მოჰხდება. კრება, სხვათა შორის, განიხილავს საკითხს ვაკეს უმთავრეს ქუჩის მოკირწყვლის შესახებ.

✦ **საელექტრონო სადგური.** ქალაქის მოურავმა უკვე წარუდგინა ტ. გ. გუბერნატორს დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს უკანასკნელი დადგენილება, რომლისაც ქალაქის თანხიდან 575.000 მანეთი უნდა გადაიდოს ქალაქის საელექტრონო სადგურის მოსაწყობად.

✦ **წ. კ. გ. საზოგადოების ბორჯომის განყოფილება.** როგორც ვწერდით, წ. კ. საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა, თავისს წევრს ჰ. სურგულაძეს ადგილობრივ

# ზვირთებს

ზღვისა ზვირთებო, შეუპოვარნო,
რად მიეფარეთ ჩემს ნათელ თვალსა,
ღელვილის გულის, ტკბილ სახსოვარნო,
რად არ მიკიდებთ კვლავც ცეცხლის ალსა?!
ვით ბავშვი ეტრფის მინდვრისა ყვავილს
და მასში ხედავს სიცოცხლის შვებას,—
ეგრევე, ზვირთნო, სულს ტანჯვით ალვსილს,
თქვენ გადმოსცემდით ცის ნეტარებას.
რა რიგ მიყვარდა, როცა სადამოს
მზე თქვენის კიდით წითლად ჰქრებოდა
და, ცის სარკენო, დღის შუქს საამოს
თქვენს გულზე თვალი ეხუჭებოდა.
მაშინ მთოვარე, ნათლის მთოვარე,
ღამის მეუფედ გარდიქმნებოდა;
ყოველი არსი, ყოველი მხარე,
თითქოს მოკვდაო, მიყუჩდებოდა.
აწ განქრა ჩემთვის იგი შვენება,
ზვირთებო, ნაცვლად თქვენის სრბოლისა
შავი ღრუბელი სულს ეფინება
და სამუდამოთ ცეცხლი ბრძოლისა
წამართვა შავმა ღამის გრიგალმა...
ვზი მწარ-ფიქრებით გარემოცული.
მსურს ერთხელ კიდევ გხილოთ თვალმა
და მერე, დეე, მომიკვდეს გული.

**ახოსპირელი.**

# ხა, ხა, ხა!..

ხა, ხა, ხა, ხა!.. ხა, ხა, ხა, ხა!..
ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო,
ვის რა უნდა? ვნახე... მნახა,—
მაქვს უფლება დავიჩემო.
მთის ნიავო, მითხარ, რა გსურს?
რად, რად მოსწყდი მთის მწვერვალებს?
ჩემს თვალის ჩინს, ნორჩს, უსუსურს,
რად უწეწავ თმებს-დალალებს?
—მე ჰანგს მივსდევ, ჰანგს იდუმალს
მიყვარს მდელო მობიბინე;
შენ კი, ყრმაო, კლდისა ნაპრალს
ჩაეხვიე... მიიძინე.
თეთრო ვარდო! მსურს შენს გვერდით
სხვა ღმერთები მივატოვო
და ცვარ-ნამი შენის მკერდით
ამოვსწუწნო... ამოვქსოვო.
—ნუ, ნუ მიმღერ ოცნების ლექსს,
შხამ-ნექტარით ნუ ივსები;
დასცხრი, გიჟო! შენ ჩემს ალერსს
ვერასოდეს ეღირსები.
მეცინება... ხა, ხა, ხა, ხა!..
ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო,
ვის რა უნდა? ვნახე... მნახა,—
მაქვს უფლება დავიჩემო.

**ი. გრიშაშვილი.**

# საქართველო და რუსეთი

(ისტორიული მიმოხილვა რუს-ქართველთა დამოკიდებულებისა XV—XVIII-ს.)

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

1453 წელი თავზარდამცემი იყო აღმოსავლეთის საქრისტიანო ერთათვის,—ამ წელს ოსმალთ დასცეს და საუკუნოდ შემუსრეს ბიზანტია-კონსტანტინეპოლი.

ბიზანტიას დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა მთელის აღმოსავლეთისათვის. იგი აკვანი იყო ცივილიზაციისა და ქრისტიანობისა, მან დაჰბადა შესანიშნავი მეისტორიენი, ღვთის-მეტყველნი, კანონის მდებელნი, არქიტექტორები, მხატვარნი, მინიატიურისტები და სხვა და სხვა. არ მოიპოვება არც ერთი დარგი მეცნიერებისა, რომ საბერძნეთს არ შეემუშავებინოს და განევითარებინოს. ასეთი იყო საბერძნეთი და ამიტომ ყველა მეზობელნი ერნი განიცდიდნენ მის დიადს გავლენას, ყველანი სარგებლობდნენ მის ცივილიზაციით, მის კულტურით და საბერძნეთიდან შეჰქონდათ სხივი სწავლა-განათლებისა თავიანთს ქვეყნებში. არც ერთი მეზობელი ერი არ გადარჩა მის გავლენასაო, სამართლიანად შენიშნავს რამბო [1]). ბიზანტია აღმოსავლეთისათვის იგივე იყო, რაც დასავლეთისათვის დიდებული რომი.

ეჭვი არ იყო ამიტომ, რომ ბიზანტიის დაცემა თავზარდამცემ გავლენას იქონიებდა აღმოსავლეთზედ და დიდს გაჭირვებაში ჩააგდებდა მას და მით უმეტეს პატარა საქართველოს. საქართველოსათვის ბიზანტია ყველაფერი იყო, პირველად ქრისტიანობა საქართველოში ბიზანტიიდან შემოვიდა. პირველი სასულიერო პირნი და მათისავე გავლენით გახსნილი სკოლების მასწავლებელნი სულ ბერძნები იყვნენ. პირველად აქაურს მონასტრებში და ლავრებში აღორძინდა ქართული სასულიერო მწერლობა და გადაითარგმნა სამღვთო წერილის წიგნები. აქა ბრწყინავდნენ ექვთიმე, იოანე და გიორგი მთაწმინდლები და იოანე ფილოსოფოსი პეტრიწონელად წოდებული. კონსტანტინეპოლისა, ათინისა და სხვათა სასწავლებლებში, რომლებშიაც მაშინ სწავლა-განათლება ჰყვაოდა, ქართველები ესწრაფებოდნენ სწავლის მისაღებად. შემდეგ ხომ ეს მისწრაფება ტრადიციულ ჩვეულებად გადაიქცა და ყოველ-წლივ 40 კაცზე მეტი ქართველი იგზავნებოდა საბერძნეთში უმაღლესი სწავლის მისაღებად. [2]) თვით ეკკლესიათა და მონასტერთა სტილი საბერძნეთიდან იქმნა შემოტანილი და მხოლოდ შემდეგში შეიმუშავეს საკუთარი სტილი. საეპისკოპოსო კათედრები პირველ ხანებში და შემდეგში საქართველოს ცალკე საქათალიკოსოდ გამოყოფამდე ვახტანგ გორგასლანის დროს, თვით ქათალიკოსებიც სულ ბერძნები იყვნენ ვიდრე ფარსმან 4-დე როცა საქართველოს ეკკლესია დამოუკიდებელი შეიქმნებოდა. საბერძნეთისავე მეფენი და დიდკაცობა მონათესაობენ ქართველებსა და უწევენ ყოველივე დახმარებას გაჭირვების დროს.

ერთის სიტყვით. მთელი საქართველო დიადს კულტურულს გავლენას განიცდიდა ბიზანტიისას, სწავლა-განათლებითა აყვავებულისა და პოლიტიკურად ძლიერის ბიზანტიის გავლენა აუწერელია. 1453 წელს კი ყოველივე ეს ჰქრება ვით შარშანდელი თოვლი, მოისპო საუკუნოდ იგი და ბრწყინვალე ბიზანტიის მაგივრად მის ნანგრევებზედ მაგრად მოიკალათა გამარჯვებულმა ოტომანის იმპერიამ და მასთან ერთად საქართველოსაც მოესპო მძლავრი ქომაგი და დაეხშო სწავლა-განათლებისაკენ კარი. ამასთანავე განათლებულ ევროპისაკენაც გასავალი კარი დიეხშო. გზაზედ გადაეღობა უშველებელი, მედგარი დევი ოტომანისა, მძლავრი, შეუპოვარი და თავიდამ ფეხებამდის უკიდურესის ფანატიზმით გაჟღენთილი. მთელს მახლობელ აღმოსავლეთში, აღარც ერთი საქრისტიანო სახელმწიფო აღარ მოიძებნებოდა, დარჩა საქართველო მარტოდ-მარტო. სპარსეთისა და ოსმალეთის მუსულმანობა, რომელთაც მკვიდრათ მოიდგეს ფეხი, რკინის სალტასავით შემოერტყა საქართველოს და სულის ამოხდა დაუწყო. „მოგეხსენებათო, შესჩივის ერთს თავის წერილში მეფე კონსტანტინე სესამე იზაბელას, რომ ურწმუნო სპარსელები სასტიკად გვტანჯვენ, უზომო ხარკს გვახდევინებენ, თავიანთს ჯარებში საომრად გვყევართ და ძალით მუსულმანობას გვაღებინებენ, ისინი ურიცხვნი არიან, ჩვენ კი კონსტანტინეპ-ლისა და ტრაპიზონის აღების შემდეგ მარტონი დავრჩით [3])...

ასეთს მდგომარეობაში იყო საქართველო, როცა ჩრდილოეთში ახალი საქრისტიანო სახელმწიფო ძლიერდებოდა თან და თან ფეხს იდგამდა და თუმცა ნელის, მაგრამ მკვიდრის ნაბიჯით მიიწევდა კავკასიისკენ. ეს სახელმწიფო იყო რუსეთი. საქართველო წინედაც ცოტა თუ ბევრად იცნობდა რუსეთს. ჯერ ისევ წმინდა ვლადიმირის დროს მოხდა ქართველთა და რუსთა გაცნობა, როცა ბიზანტია ჯერ ისევ ყვაოდა და არსაით საფთხე არ მოელოდა. გაცნობა კი მოხდა, მაგრამ სამწუხარო იყო ეს გაცნობა. საბერძნეთის მეფეს ვასილი II ახლად ვლადიმირისაგან, რომელიც მას სიძეთ მოხვდებოდა, დასახმარებლად გაგზავნილი რუსეთის ჯარი,—იქვე იყო ახლად ტახტზედ ასული საქართველოს მეფე ბაგრატ III თავის ჯარებით. ქართველთა და რუსთა მხედართ ჩხუბი მოუვიდათ თივის გამო და ერთმანეთი ამოჰხოცეს, რომლის დროსაც მრავალი გამოჩენილი ქართველი მოიკლა [4]) ეს მოხდა მეათე საუკუნის მიწურულში. შემდეგ რუსები და ქართველები დამეგობრდნენ და დანათესავდნენ. უკვე 1154 წელს იზიასლავ მსტისლავოვიჩს ცოლად მიჰყავს ქართველთა მეფის დიმიტრის (მეფობდა 1125 — 1154) ასული [5]). თვით საქართველოს ბრწყინვალე დედოფლის თამარის პირველ ქმარი გიორგიც ხომ რუსი იყო, დიდის მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის შვილი. გარდა ამისა, რუსები და

[1]) იხ. L' Empire grec au dexiéme siecle.

[2]) იხ. Всеобщая исторія, Вардена Великаго.

[3]) იხ. Аваловъ, Присоединеніе Грузіи къ Россіи გვ. 25.

[4]) უფრო დაწვრილებით იხილე: Всеобщая исторія, Стефана Тараискаго, писателя XI столѣтія, переводъ Эмина, გვ. 200.

[5]) იხ. Бутковъ, О бракѣ князей русскихъ съ грузинками и ясынями въ XII ст.

გამოიძიებინა და ბოლო მოეღო საზოგადოების ბორჯომის განყოფილების გამგეობის წევრთა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებისთვის, რათა ამ უთანხმოებას რაიმე სერიოზული შედეგი არ მოჰყოლოდა. პ. სურგულაძემ უკვე მოიარა ბორჯომი და დაწვრილებით გაეცნო საქმის ვითარებას. მისი აზრით, წევრთა შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება უბრალო გაუგებრობაზე იყო აშენებული. ამრიგად საქმე უკვე გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს და ადრინდელი შიშიც საქმის გართულების შესახებ უსაფუძვლოდ უნდა იქნეს მიჩნეული.

◆ **ქალაქის შემნახველ გამსესხებელი კასა.** დღეს, 10 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდება ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებელ კასის წევრთა კრება. კრება მსჯელობას იქონიებს კასის წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ.

◆ **ექსკურსია.** მოკლე ხანში ტფილისში ჩამოვა პრივ.-დოცენტის ვ. დ. ჩელინცევის ხელმძღვანელობით მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთა ექსკურსია, რიცხვით 25 კაცი. პოლიცმეისტერმა პოლიციელთ დაავალა ექსკურსანტებს ყოველივე კანონიერი დახმარება აღმოუჩინონ.

◆ **ტფ. ქართულ გიმნაზიაში კურს დამთავრებულნი.** ტფ. ქართულ გიმნაზიის მერვე კლასში წელს 41 მოწაფე იყო. ამათგან შვიდი არ დაუშვეს ეგზამენზე, კურსი გაათავა და სიმწიფის მოწმობა მიიღო 31 კაცმა. სია კურს დამთავრებულთა: ირაკლი ამირაჯიბი, დიმიტრი ანანიაშვილი, ასამბაძე, ბასილაძე ივ. გ. ანდრიაშვილი, სიმონ ბრაგვაძე, კ. გეგელიძე, გიორგი ჯაბაშვილი, სიმონ დავითაშვილი, ნესტორ დიდებულიძე, ისააკ კლიმიაშვილი, მიტროფანე კორძახია, ალ. კეზელი, ზაქ. მიროტაძე, კონსტანტინე მაჭარაშვილი, გ. ჩამორაძე, საბიაშვილი, სამადაშვილი, გიორგი სულიკაშვილი, იოსებ ტატიშვილი, ვლ. ტატიშვილი, ნიკ. ფოფხაძე, ლ. ქართველიშვილი, ნიკ. ფილიაშვილი, ზაქრო ყანჩელი, ესტ. აუბლაშვილი, ვლ. ცაგურია, ნიკოლოზ ცაგურია, სერაფიონ ხომასურიძე, კონსტანტინე ჯავრიშვილი; ალ. ჯავრიშვილი. სამი მოწაფის შესახებ მზრუნველმა უნდა გადასწყვიტოს, მიეცემა თუ არა მოწმობა.

◆ გამოვიდა „თეატრი და ცხოვრების“ მორიგი მე-23-ე ნომერი, რომელშიაც, სხვათა შორის, დაბეჭდილია: ავტორთა ჯილდო—მეთაური, წარმოდგენები სოფლად—ილ. ბახტაძისა, „რეაქცია“—კომედია **ბჭაკისა.** (მეორე მოქმედება). დასავლეთ ევროპიულ მოდერნიზმის ძირითადი მოტივები“ (დასასრული)—პეტრე დადვაძისა, „სათიბში“—გიორგი ფოცხოველისა, „ბულბულის გოდება“—სევდიასი და სხვა ლექსები და ამბები.

◆ გამოვიდა ყოველკვირეულ ჟურნალ „სხივი“-ს მორიგი (15) ნომერი შემდეგი შინარსით; მეთაური.—სპარსეთის ვითარება, ს. ალდისძირელისა.—რუსეთის ცხოვრება. სიხელმწიფო დუმა.—საზღვარ გარეთი,—კორესპონდენციები: თეირანი, ბაქო.—ყვავილები, ლექსი ბ. გელასი.—უმუშევარი, ესკიზი ს. პართენაშვილისა.—ეკონომიური ცხოვრების განვითარება, შვარცისა. ფიქრები, ლექსი გ. ქუჩიშვილისა.—სოციალიზმი და ანარქიზმი რეიხესბერგისა და სხ.

◆ თიანეთის მაზრის სოფელ ბარისახეს მცხოვრებნი ხირჩოლა, გიგა და კუდა არაბულები სიმთვრალის დროს წაეჩხუბნენ გიგია არაბულს, რომელსაც მოჰკვეთეს მაჯა და ხანჯლით და ხმლებით სხვა და სხვა ალაგას დასჭრეს.

◆ შულავრის ახლო ხირმან ცაპას მიდამოებში ოგანეზ და მიკირტიჩ ხრევიანცევების საპნის და ტყავის ქარხანას ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა საპონი და დამზადებული ტყავები, ზარალი 7. 807 მან. უდრის.

◆ ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოს სტატისტიკურ ცნობებით, მაისის განმავლობაში ტფილისში 102 ბოროტმოქმედება მომხდარა. ადგილობრივ შეუპყრიათ 77 კაცი, ეჭვით დაუპატიმრებიათ 36. ამას გარდა ამ ხნის განმავლობაში წინად ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის შეუპყრიათ 12 კაცი შეუპყრიათ აგრეთვე 21 ადმინისტრატიულის წესით გადასახლებულნი და თავის ნებით დაბრუნებული. მაისის განმავლობაში პოლიციას ბოროტმოქმედნი ვერ აღმოუჩენია მხოლოდ 13 შემთხვევაში.

7 მაისს კავკავში დაატუსაღეს ნავთის მწარმოებელი კურბან მამაევი, რომელიც იმავე დღეს ბაქოს პოლიცმეისტრის გადასცეს. დატუსაღებას კავშირი აქვს მილიონერ მუსა ნაგიევის მოურავის მკვლელობასთან.

◆ 6 ივნისს ქუთაისის საგუბერნიო ციხის ტუსაღი პარმენ თვალაბეიშვილი თავს იხრჩობდა, მაგრამ ეს დროზე ციხის მელთვალყურემ შეამჩნია და სახრჩობელიდან ჩამოხსნა. თვალაბეიშვილს დროებით სამხედრო სასამართლოს მიერ სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი.

## ქუთაისი

◆ **სასწავლებელთა გამგე კომისიის სხდომა.** ამას წინად ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა პირველი დაწყებითი სასწავლებელთა გამგე კომისიის სხდომა; გასარჩევი იყო შემდეგი საკითხები: 1) ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის წინადადება, რათა გახსნილ იქნას ქალაქის ხარჯით რუს ბავშვთათვის ერთი პირველ-დაწყებითი სკოლა 2) კავკასიის ოლქის მზრუნველის წინადადება, რათა გადაკეთებულ იქნას უფასო საქალებო სასწავლებელი შინა მრეწველობის სკოლად. 3) კახიანურელების თხოვნა, რათა პირველი ქალაქის სკოლა, სადაც მოსწავლეთა რიცხვი ძლიერ ცოტაა, გადატანილ იქნას კახიანოურში, ბალახვნის ქუჩის ბოლოზედ. 4) ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებში სწავლის ფულის მოსპობის შესახებ. გამგე კომისიამ, განიხილა რა ზემოხსენებული საკითხები, დაადგინა: რადგანაც ერთ მეექვსედ ნაწილს ქ. ქუთაისის მცხოვრებლებისას შეადგენენ რუსები, ამის გამო აღძრულ იქნას შუამდგომლობა ქალაქის საბჭოში ერთი პირველ-დაწყებითი სკოლის გახსნის შესახებ რუს ბავშვთათვის; იმ იმედით, რომ დირექტორი ნახევარ ხარჯის სკოლის შესანახად ხაზინას გამოაღებინებს. აღძრულ იქნას აგრეთვე საბჭოში საკითხი უფასო საქალებო სასწავლებლის ოჯახობის სკოლად გადაკეთების. შინა მრეწველობის კახიანურელების თხოვნა ჯერ-ჯერობით გადადებულ იქნა; ყოველ შემთხვევაში, თუ ვინიცობა ქალაქმა გახსა მეხუთე ქართული სკოლა, მაშინ ეს სკოლა გაიხსნას კახიანოურში; პირველი ქალაქის სკოლა, რომელიც დღეს იმყოფება მთის ზედათი ნაწილში, (Нагор. уч.) სადაც ამ სასწავლებელს გარდა არსებობს კიდევ მეოთხე (ილ. ჭავჭავაძის სახელობის სკოლა), ერთ-კლასიანი ახლად გახსნილი სამინისტრო სკოლა, რისგამო მოსწავლეთა რიცხვი ამ სკოლაში ყოველ წელს ძლიერ მცირეა (60 მოსწ, სამ განყოფილებაში), გადატანილ იქნას არქიელის გორაზედ. რადგანაც სწავლის ფულის გამო ბევრი ღარიბი მოსწავლე ანებებს თავს სწავლას შუა წელიწადში, თან მასწავლებლებს ძლიერ ხელს უშლის პოლიციურად ფულების მოკრეფა მოწაფეებისგან, ამის გამო აღძრულ იქნას შუამდგომლობა საბჭოში სწავლის ფულების მოსპობის შესახებ. ამ გვარად კომისიის სხდომამ მეტად საყურადღებო საკითხები განიხილა ამ დღეს, და ვნახოთ საბჭო რას გააკეთებს დასასრულ, ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვა კომისიის საყურადღებოდ რუსთა სკოლის შესახებ: რადგანაც ეს სკოლა მარტო რუსთა ბავშვებით არ შეივსება, ქართველი ხალხის შეუგნებელი ელემენტიც, რადგანაც რუსთა სკოლაში რუსულ ენაზედ იქნება სწავლა, უფრო იქ არჩევს ბავშვის მიბარებას; ამის გამო სამშობლო ენის ინტერესის დასაცავად მეტად საჭიროა კომისიამ, როგორც გამგე, ისე მასწავლებელიც დანიშნოს ქართველები. ქართველი მასწავლებლები როგორც რუსულ გაკვეთილებს, ისე ქართულ გაკვეთილების ქართველთათვის იქონიებენ ნუსხაში; მაშინ სამშობლო ენა ქართველ მოსწავლეთათვის იარსებებს სოფლის სკოლაში.

# პატარა ფელეტონი

## ხელის დავთრიდან

ბიძა ჩემო!

აი, შენა გგონია, ხელის დავთარიო, როცა ვწერ, ამას იმიტომ ვამბობ, რო ხელით არის დაწერილი, ხელი რომ ასწერს, ანუ, უკეთ, თითებ-შუა გაჩხირული კალამი რომ სრიალებს ქაღალდზე? ჰა, ჰა, ჰა! თავად ყოფილხარ ხელი.

მე ვწერ გონებით, გონების დავთარს, ხელი მხოლოთ იარაღია, მას კალამი უპყრია და ეგ კალამი საწერელში კი არა, პირდაპირ გულში მერჭობა, მკერდი მაქვს გახვრეტილი და მუნითგან ამომაქვს წითელი რამ სითხე, სისხლათ წოდებული; ამ სისხლითა ვწერ.

დიდი ხანია სისხლითა ვწერ. სისხლით ნაწერს სხვასაც ბევრსა ვკითხულობ. საუკუნეზე მეტია. არ გიკვირს, რომ კიდე შემრჩენია სისხლი?!. ჩანს, სისხლ-ჭარბი ვყოფილვარ. თუ ახლა აღარა ვარ ასეთი, ერთ დროს მაინც ვყოფილვარ.

დღეს მართლაც სისხლ-ჭარბობა აღარ მეტყობა. კალამს მალ-მალ ვასველებ, სისხლს წყალი შეპარვია, გულის მუშაობა მოდუნებულა, ჭარბ სისხლს ველარ ამზადებს, მკერდის ნახვრეტი გადიდებულა, არა მარტო კალამი, ხელიც კი ჩადის შიგა!

მერე რამდენი ხელი, ხელ-გიჟთა ხელები! ვინ არ ურევს შიგ!? გაირღვა მკერდი, დაირღვა მწყობრი მუშაობა გულისა, აირია დავთარი!..

...გუშინ ვნახე. ბალში ამაყად ჩამოისეირნა..

—აი, ეს ის არის, ძაღლების აღმზრდელი, ვინაიდგან მან ძაღლები უწოდა ბავშვებს, მათს ენას ძაღლური, მხეცური ენა.

ძაღლი, მხეცი!!

მერე, იცი შენ, საბრალო ბიძა ჩემო, რომ ამ გაძაღლებულ პირუტყვთ ოსტატს თან ორი ოსტატიც ახლდა იმ გალანძღულ ბავშვების მამები, ძმები, ბიძები, თავისიანი?.. ჰო-მეთქი, ახლდნენ, ერთად ჩამოისეირნეს, მიუსხდნენ მაგიდას და დალიეს მათ სისხლი ჩემის გულითგან ამონაწური, ჩემს გარღვეულ მკერდში ხელის ფათური იწყეს, დამალონეს, ამაკვნესეს...

ველარ ვუყურე მათს სიფლიდეს, ველარ გავუძელ მათს ამხანაგურს მასლაათს და გულით სისხლისგან დაწურულით, მკერდით გარღვეულით წაველ, გავშორდი.

გავველ ბაღიდგან... იქ სულის მობრუნებას ველოდი... უარესი მიყვს..

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნიო—გვიწვევდენ გუშინაწინ დარბაზსა მას. მოვედით, **ერთ დროს სახელოვან კოლხიდის შვილნიო.** დღეობა იყო მხედრობისა, მხედარნი კი ფრიად ნაკლებად შეგროვილიყვნენ. ერთ დროს სახელოვან შვილთაგან სამი-ოთხი ვიყავით. და გამოვიდა მუნ ვინმე გადაგვარებული ჩამომავალი გადაგვარებულის მხედართ მთავრისა, მთავარ მართველის სიკვდილის პირას მიმდგარ ქვეყნისა, მართველის მკაცრის, უგულოსი, უსულოსი, გამოვიდა და ხოტბა შეასხა ამ წინაპარს.

დიახ, ერთ დროს ვყოფილვართ თურმე, დღეს აღარა ვართ, არარანი ვართ, საბრალო ისახარ! Sic transit gloria mundi!.. ყოფილა, ძველი, ძველათ ყოფილაო—ხრინწიანის ხმით ამბობს უძლური ბერ-აკიბა.

არ გაგიგონია—ერი რომ საცხონებლად წავიდა და წაწყმედილი დარჩა?! საცხონებელად მოვიწვიეთ წაწყმედილები დავრჩით. ცხონება გვწყურია—ცხოვრება წაწყმედილია. წაწყმედილია.

**ხელი.**

## „განდეგილის“ გასამართლების გამო*)

I.

პირველად დავესწარი ამ ბოლოს დროს ჩვენში მოდათ შემოღებულ ლიტერატურულ გასამართლებას. 11 ამ თვეს გაასამართლეს ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში ილ. ჭავჭავაძის პოემის გმირი „განდეგილი“.

*) რადგანაც ლიტერატურული გასამართლება თან და თან ფეხს იკიდებს ჩვენში და საზოგადოების თანაგრძნობას იპყრობს, ვბეჭდავთ დამსწრეთა შენიშვნებს, თუმცა გაზეთი ხშირად საგნებით არ ეთანხმება ხოლმე ავტორებს.

რედაქცია.

ვიდრე კერძოდ ამ გასამართლებაზე ვიტყოდე რასმე, საჭიროდ მიმაჩნია გამოვთქვა ჩემი აზრი საზოგადოდ ლიტერატურულ გასამართლებაზე.

მე, მგონია გასამართლება ფორმალურ სამსჯავროს მიხედვით შეიძლება მხოლოდ იმ ლიტერატურულ ტიპებისა, რომლებიც ახლანდელ ცხოვრებიდან არიან აღებული და იმისთანა რამე ჩაუდენიათ, რაც დანაშაულად შეიძლება იქმნეს აღიარებული. იმისთანა ტიპები მაგალითად, ნორა იბსენისა, ანფისა ანდრეევისა და სხვა. ამ შემთხვევაში სრული ილუზია იქნება დაცული და მაყურებლისთვისაც გასაგები იქნება თვით გასამართლებაც. იმისთანა ისტორიულ, ან სიმბოლიურ პიროვნებათა გასამართლება კი, როგორც დედოფალი ზეინაბი, ქეთევანი, ოთარბეგია, ხიმშიაშვილი, ან „განდეგილი“ ჩემის აზრით უხერხულია. ამბობენ, საზოგადოებას მოსწონს ამნაირი გასამართლება და ინტერესით ადევნებს თვალ-ყურსო. მაშინ რა საჭიროა, რომ უეჭველად გასამართლების სახე ჰქონდეს იმ მსჯელობასა და კამათს, რომელიც ამა თუ იმ ლიტერატურულ ნაწარმოების, ან კერძოდ ამ ნაწარმოების გმირის გარშემო შეიძლება იქმნეს აძრული? ამ შემთხვევაში უკეთესი იქნებოდა პირდაპირ ლიტერატურული მსჯელობა ბაასი გამართულიყო და არა გასამართლება. შეიძლებოდა, როგორც ახლა წინდაწინვე ინიშნებიან სამსჯავროს თავმჯდომარე, ბრალმდებელნი და დამცველნი, მაშინაც წინდაწინვე ყოფილიყვნენ არჩეულნი მსჯელობა-ბაასის ხელმძღვანელი და ლიტერატურულ ნაწარმოების, ან მის გმირთა მოწინააღმდეგე-თანაგრძნობელნი, რომელნიც ახლანდელ ბრალმდებელ-დამცველთა მაგიერობას გასწევდნენ; შეიძლებოდა თვით საზოგადოებიდანაც მიეღო მონაწილეობა რამდენსამე პირს ამ მსჯელობა-ბაასში. ამ ნაირად გაიმართებოდა კამათი და როცა ხელმძღვანელი საგანს გამორკვეულად დაინახავდა, შესწყვეტდა ბაასს, დააყენებდა საკითხს, ან ერთს, ან რამდენსამეს და დამსწრე საზოგადოებაც მიიღებდა, ან უარყოფდა მათ. მიზანი მიღწეული იქნებოდა; თვით კამათსაც ბუნებრივი მსვლელობა ექნებოდა მიღებული და არა ის სასაცილო, როგორც ეს მაგალითად იყო მაშინ, როცა „განდეგილს“ ასამართლებდნენ. ჯერ ისევ თვით თავმჯდომარის სიტყვის დროს, როცა ის არკვევდა, თუ რა ბრალი ედებოდა „განდეგილს“, საზოგადოებაში სიცილი ისმოდა და მართლაც სასაცილო იყო, როცა სცენაზე ვხედავდით „განდეგილს“ და თავმჯდომარე—კი ამბობდა, რომ მას, სხვათა შორის, ისიც ედებოდა ბრალად, რომ „სული განუტევა“...

კერძოდ გუშინდელ გასამართლების შესახებ ვიტყვი მხოლოდ, რომ ბრალმდებელნი და დამცველნი, როგორც თვითონაც აღიარეს, სულ სხვა და სხვა მხრივ უყურებდნენ საგანს. პირველნი უარყოფდნენ საზოგადო ასკეტიზმს, დანაშაულად უთვლიდნენ „განდეგილს“, რომ განშორდა ცხოვრებას, მეორენი კი ამბობდნენ, რომ ასკეტიზმი აქ არაფერს შუაშია და, არამც თუ დამნაშავედ, გმირად გამოჰყავდათ „განდეგილი“. კარგი სიტყვა წარმოსთქვა პირველმა ბრალმდებელმა შ. ელიავამ, ნამეტურ მეორე. არა უშავდა-რა არც მეორე ბრალმდებლის გლ. ბაქრაძის სიტყვებს და კიდევ უფრო კარგი იქნებოდა, რომ პირველი თავისი სიტყვა ძალიან აჩქარებულად არ წაეკითხა ხელნაწერიდან, ისე აჩქარებულად, რომ ნახევარიც ვერ გავიგონეთ.

დამცველნი უფრო კარგი ორატორები გამოდგნენ ბრალმდებლებზე; ამათი სიტყვები, განსაკუთრებით ფორმის მხრივ, ჩინებულნი იყვნენ და სამართლიანად დაიმსახურეს საზოგადოებისაგან ხანგრძლივი ტაში. როგორც პირველ-დამცველმა გ. ჯაფარიძემ, ისე მეორე ი. მაჭავარიანი ხელოვნურად ნამეტურ ლაპარაკობდა. ბ. ი. მაჭავარიანის სიტყვები იქნებოდა უნაკლულო, რომ ერთი უადგილო ახუნჯობა არ გამოერია და მით არ გაეფუჭებინა ბევრის თვალში შთაბეჭდილება. მე ვამბობ ორსულ ქალის და მისვე კიტრის სიყვარულის უადგილოდ გახსენებაზე, რამაც, ერთი მხრივ სიცილი გამოიწვია საზოგადოების ერთ ნაწილში, რაც სურდა, ალბად, ორატორს, მეორეს მხრივ სამართლიანი გულისწყრომა აღუძრა ბევრ განვითარებულ დამსწრეს.

**დუტუ მეგრელი.**

II

განდეგილს ბრალი ედება შემდეგ დანაშაულში: 1) მან დასტოვა ყოველივე ხორციელი სიამოვნება, განშორდა მას და თავი შეაკედლა ცივს, კაცუნდელ მთას და შეუდგა თავის სულის განწმენდას. ის ცრემლით აღბობდა ღვთისმშობლის ხატს და წარსული ცხოვრების სინანულით უნდოდა მოეშავა, საიქიო სიმშვიდე მოეპოვა. ჰქონდა მას ამის უფლება თუ არა? 2) მის შემდეგ, რაც ის განშორდა ყოველივე მსოფლიურს, ესპობა თუ არა მას ის სისრულეში მოუყვანელი განზრახვა, რომელიც გამოიწვია მასში უცაბედად უდანაშაულო მწყემსი ქალის ხილვამ?

ორივე ბრალმდებელს უმთავრესად ერთი და იგივე გასამტყუნებელი მოტივები ჰქონდათ და გამოიხატებოდა შემდეგში: განდეგილს, როგორც საზოგადოების წევრს, უფლება არა ჰქონდა განშორებოდა საზოგადოებას, ის უნდა დარჩენილიყო და ებრძოლა საზოგადოების უკუღმართობასთან. ის გაექცა ბრძოლას და მით აღიარა თავის სილაჩრე. ის მავნე პირია, როგორც საშუალო საუკუნოების ასკეტიზმის მქადაგებელი. აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო ის გარემოება, რომ განდეგილს კი არ ასამართლებდნენ და ბრალსა სდებდნენ ბრალმდებელნი, არამედ ასკეტიზმს, როგორც მიმართულებას და მის მავნე მნიშვნელობას. ბ. შ. ელიავამ სთქვა: ჩვენ ვებრძვით ჩვენს მოწინააღმდეგეთ, მხოლოდ არა ნაკლებ უნდა ვებრძოლოთ მათ, ვინც ამ ბრძოლას გვერდი აუხვია და შორიდან გულგრილად უცქერის. და განა ასეთი ბრალდება საბუთიანია? განა განდეგილი უცქეროდა ბრძოლას გულგრილად? საიდან გამოჰყავს ეს ბ. ელიავას. ის განშორდა საზოგადოებას, აღარასფერი არც კარგი, არც ავი, არც ბრძოლა და არც შერიგება მას არ აინტერესებს, მან უარ-ჰყო ყოველივე, არასფერს შენგანს არ მოითხოვს და მაშასადამე რა უფლებით ეუბნებით, ბ. ბრალმდებელნო, მას: დარჩი ჩვენთან, მართალია შენ არა გინდა რა ჩვენი, მაგრამ ვერ გაგიშვებთ და შენით უნდა ვისარგებლოთო. რა უფლება გაქვთ ამისა? თუ კი ის დარჩებოდა ხალხში და ორში ერთს ჩაიდენდა: იბრძოლებდა სიმართლის და ჭეშმარიტების წინააღმდეგ, მაშინ თქვენც ბრძოლას გამოუცხადებდით და შესაფერადაც განსჯიდა გამარჯვებული დამნაშავეს; ან კიდევ განდეგილი დარჩენილიყო საზოგადოებაში, საზოგადოებრივი ძალებით ესარგებლა და თავისი წვლილი არ შეეტანა საზოგადო საქმეში, მაშინ შეგეძლოთ ის ბრალდებულის სკამზედ დაგესვა, როგორც მუქთა-ხორა, სხვისი ოფლით გამძღარი, და ის სასტიკი სასჯელის ღირსიც იქნებოდა. მაგრამ განა ეს ასე მოხდა? სრულებითაც არა. მან თქვენ უარის ყოფასთან ერთად თავისი თავიც უარჰყო. მაინც სჯით ამ კაცს. ნამდვილი სასამართლო კი ბრალდებულის სკამზედ თქვენ დაგსვამდათ, ბ-ნნო ბრალმდებელნო, თქვენ განდეგილს არას აძლევთ და მისგან კი ყველაფერს ითხოვთ; თქვენ განიზრახეთ მისი რწმენის უარის-ყოფა, ეს ცოტაა, მისი რწმენის გამოყენება თქვენი მიზნის განსახორციელებლად; და განზრახვა ხომ იგივე დანაშაულია. განა გესიამოვნებათ თქვენს რწმენას, რომ ასე მოექცნენ და ხელი უფათურონ თქვენ სულსა და გულში?.. განა შესაძლებელია ყველა და ყოველი ერთს ფარგალში ჩავსვათ და ერთი საზომით გავსინჯოთ? ჩემის აზრით ბრძოლის დროს მოწინააღმდეგის ჭეშმარიტს რწმენას უნდა ვაფასებდეთ და მას ანგარიში უნდა უწევდეთ; აქ კი არავითარი ბრძოლა არ არის. განდეგილი თავის რწმენას ემსახურება და ეს რწმენა მას ბრძოლის იარაღათ არა აქვს. აბა მიჩვენეთ ისეთი მისი მოქმედება, რომ განდეგილს მოენდომებინოს თავისი აზრის გავრცელება.

ქართველები იცნობენ ერთმანეთს ათონის მთაზედ, სადაც მეზობლად მონასტრები ჰქონდათ ქართველებსა და რუსებს. ცნობილია, რომ როცა ბერძნებსა და რუსებს ცილობა ჰქონდათ პატარა მონასტრის კაცარის შესახებ, რუსებს მოწამეთ გამოჰყავთ ქართველთა მონასტრის წინამძღვარი, ვინმე დიმიტრი.[6]) რუსეთის მეფე ივანე ყაზანის აღების დროს ამხნევებს რუსეთის ჯარს და მაგალითად მოჰყავს თამარ დედოფლის სახელოვანი გამარჯვება ურიცხვს, ურჯულო ყიზილბაშებზედ.

ასეთი იყო ქართველებისა და რუსების ნაცნობობა. ბიზანტიის დაცემის შემდეგ ქართველთა ყურადღება ეხლა ამ ძველმა ნაცნობმა ჩრდილოეთის ქვეყანამ მიიპყრო. საქართველომ სასოებით გაიხედა მეორე საქრისტიანო ქვეყნისაკენ და რამდენადაც რუსეთი ძლიერდებოდა და უახლოვდებოდა კავკასიას, იმდენად იმედი უცხოვლდებოდა ქართველებს. ამიტომ შესაძლებელი გახდა თუ არა ქართველთათვის რუსეთში მიმოსვლა, ქართველები აღარ აყოვნებენ და დესპანს-დესპანზედ ჰგზავნიან მოკიდებული მეთექვსმეტე საუკუნის მიწურულიდგან, საქართველოს სრულიად რუსეთთან შეერთებამდის, ეს მიმოსვლა არ შეწყვეტილა. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში და შემდეგ ეს მიმოსვლა ხომ მასიურად-სტიქიურად გარდაიქცა. იქითკენ გარბოდნენ მეფენი, მთავარნი, სასულიერო პირნი, თავად-აზნაურობა და სხვანი. რუსეთის მთავრობაც უქოლიავებს მათ, აძლევს თანამდებობებს, აშენებს მთელს ახალშენებს. ვახტანგ VI, რომ გავარდა რუსეთში და თან გაიყოლა 1000 კაცზედ მეტი, რუსეთის მთავრობას ეს საწყენად კი არ დარჩა, პირიქით უსაყვედურებდნენ, რომ ცოტა ხალხი მოიყვანაო.[7]) რუსეთის ინტერესებისათვის საჭირო იყვნენ ქართველები. ჯერ ეგ ერთი, ქართველები მშვენიერს სამხედრო ძალას წარმოადგენენ და შეიძლებელი შეიქმნა თუ არა, რუსეთი მთელს პოლკებს ადგენენ ქართველთაგან, რომელთაც დიდი სამსახური გაუწევს რუსეთს არა ერთსა ორს ლაშქრობაში. გარდა ამისა რუსეთი ადრე თუ გვიან კავკასიის საკითხში ფაქტიურად ჩაერეოდა და ქართველები კიდევ როგორც კავკასიელნი და მასთანვე მართლ-მადიდებელი ქრისტიანენი დიდათ გამოსადეგნი იქნებოდნენ მიზნის მისაღწევად.

ქართველები იხმობდნენ რუსებს მართლმადიდებლობისა და ქრისტიანობის დასაცველად აგარიანთაგან და ვერ წარმოედგინათ, რომ ამგვარმა საშუალო საუკუნისებურმა პოლიტიკამ უკვე დიდი ხანია ჩაილურის წყალი დალია, გაცვდა, მოსჭამა. დროთა გარემოებამ კარგა ხანია სხვაგვარი პოლიტიკა გამოსჭედა და წამოაყენა. ქართველები ისე უცქეროდნენ რუსეთს, როგორც მესამე რომს, როგორც განხორციელებას ძლიერებისა, სწავლა-ცოდნისას, სიბრძნე-მეცნიერებისას, წესიერებისას და მართლმადიდებლობასას, რომელსაც ბიზანტიის მაგიერობა უნდა გაეწია მათთვის. ქართველები მას ჰხდიან აღთქმის ქვეყანად, აღთქმის კიდობნათ, რომელსაც ნუგეშ უნდა ეცა დამაშვრალ ქართველთათვის.[8]) მის მართლმადიდებლობითის ორთავიან ორბის ფრთეთა ქვეშ თავისს შეფარებას საწუკვარ საგნად ჰხდიდა ქართველობა.[9]) გულუბრყვილოდ სჯეროდათ, სწამდათ ყველა ეს და ვერავითარს ძალს ვერ შეეძლო ცოტაც არის ეჭვი შეეტანინებინა მასში. როგორ გამართლდა ქართველების ეს რწმენა ამის შემდეგ წერილებიდგან დაინახავს თვით მკითხველი.

**ზ. ედილი.**

(შემდეგი იქნება)

[6]) იხ. Акты Русскаго на св. Аөонѣ монастыря.

[7]) იხ. Аваловъ, присоединеніе Грузіи къ Россіи.

[8]) იხ. Описаніе древностей гор. Тифлиса, იოსელიანისა, წინასიტყვაობა.

[9]) იხ. Переписка грузинскихъ царей съ россійскимъ госуд. გვ. 159.

ასეთი ადგილი არ არის და თუ ის განდიდეთ დაგესაჯათ, მხოლოდ იმიტომ, რომ მან ერთი რამე იწამა და მას ემსახურებოდა, ამას მე მხოლოდ გაუგებრობას მივაწერ. თქვენს თავს რას უწოდებთ? ნუ თუ გგონიათ, რომ თქვენი რწმენა აბსოლიუტური ჭეშმარიტებაა?

აი, ამ მოტივებით ხელმძღვანელობდნენ ბ. დამცველები.

ჩემის აზრით, გასამართლება რადგან გაუგებრობას წარმოადგენდა და ნაფიცი მსაჯულების განაჩენიც შესაფერი გამოჩნდა: დამნაშავეა განდეგილი იმაში, რომ ის საზოგადოებას მოშორდა, მხოლოდ მან რომ კოცნა განიზრახა უდანაშაულო ქალის, რა უყოთ, მშიერს პური შია და თუ იმოვა შესჭამსო.

ვ. ქ—ძე.

# სოფლის მასწავლებელთა გასაჭირი

მრავალი ნაკლულევანობით არის აღსავსე ჩვენი სახალხო სკოლა, ბევრი ხელის შემშლელი მიზეზები ხვდება მას წინ და გზას უღობავს. სხვათა შორის, ერთი ასეთი მიზეზთაგანი გახლავთ ჩვენი სკოლებისათვის შესაფერი სახელმძღვანელოთა უქონლობა და ზოგიერთ შემთხვევებში კი, პირიქით, მათი სიმრავლე. დიახ, ზოგჯერ სიმრავლეც ხელს გვიშლის, რადგანაც აუარებელ სახელმძღვანელოთაგან საუკეთესოს ამორჩევა არც ისე ადვილია ჩვენთვის.

ჩვენ ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, ვითომ მარტო სახელმძღვანელო იყოს უებარი წამალი მოსწავლის გონების გახსნა-განვითარებისათვის. წინააღმდეგ, დიდი მომხრე ვართ ზეპირგადაცემის ცოცხალი სიტყვით სწავლებისა, რომელიც უფრო სწვდება ბავშვის გულსა და გონებას და ღრმად, წაუშლელად იბეჭდება მის მეხსიერებაში. მაგრამ ღირსეულად შედგენილი სახელმძღვანელოც რომ დიდი დამხმარეა სწავლების დროს, ესეც ჭეშმარიტებაა. მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს მომზადებას. არ გამოვუდგებით აქ ამის ახსნაგანმარტებას. ჩვენ მხოლოდ ხაზს ვუსვამთ ზემოთ თქმულს, რომ ზოგს საგნებში სულ არ გვაქვს სახელმძღვანელო, ზოგში კი სასურველზე ვერ შევჩერებულვართ, რაც ძალიან გვიშლის ხელს. სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, ჩვენ პირდაპირ გადავალთ ზოგიერთ საგნებზე, რომლის სწავლების დროს დიდ გაჭირვებას განვიცდით.

**1. რუსული ენა.** უმცროს განყოფილებებში ჩვენ გვაქვს ბ. იაკობ გოგებაშვილის „Русское Слово" I და II ნაწ., რომელიც ასე თუ ისე შეიძლება ვიხმაროთ ჩვენს სკოლებში. მაგრამ უფროს განყოფილებებში დიდ ნაკლსა და გაჭირვებას ვხედავთ. თითქმის ყოველ სამოსწავლო წელს იძულებული ვართ სახელმძღვანელო ვსცვალოთ ამ საგანში, რაც ძალიან მძიმე ღარიბ მოსწავლისა და ხელის შემშლელი მასწავლებლისათვის.

**2. ბუნების-მეტყველება.** ზედ-მეტია იმაზედ ლაპარაკი, თუ რამდენად სასარგებლო და საინტერესოა ეს საგანი, თუ მასწავლებელი გონივრად წაიყვანს მის სწავლების საქმეს. საუბედუროდ, არც ერთი საგანი არ კოჭლობს ჩვენს სკოლებში ისე, როგორც ბუნების-მეტყველება. ჩვენ სასურველათ მიგვაჩნია, რომ ეს საგანი იწყებოდეს მეორე განყოფილებიდან, რასაკვირველია, ქართულ ენაზედ, და თან და თან, რამდენადაც გამდიდრდება მოსწავლის ლექსიკონი რუსული სიტყვებით, გადადიოდეს რუსულ ენაზედ. მაგრამ შესაფერ სახელმძღვანელოთა სრული უქონლობა გვიბოჭავს ხელ-ფეხს და ვერ მოგვიხერხებია ამ საგნის ღირსეულ სიმაღლეზედ დაყენება.

**3. ისტორია.** პედაგოგიის პრინციპი ახლობელიდან შორეულზე გარდასვლისა ისე არსად არ არის მივიწყებული, როგორც ამ საგნის სწავლებაში. ჩვენის შეხედულებით ჯერ უნდა გავდიოდეთ საქართველოს ისტორიას, მერმე რუსეთისას; უნდა იყოს გატარებული პარალელი ამ ორ ხალხთა ცხოვრების აღწერაში. მასწავლებელი უნდა ადარებდეს ამა თუ იმ მომენტებს, ეპოქებს ერთი ერის ისტორიისას მეორესთან, უნდა გამოჰყავდეს მსგავსება-განსხვავება და დასკვნები. სამწუხაროდ ჩვენი სახელმძღვანელოები ამის მაგივრად წარმოადგენენ, როგორც გენიმ მოსწრებულად სთქვა, „Полицейскую роспись городскихъ домовъ по ихъ номерамъ", ან როგორც დოროშევიჩი ამბობს: „Перечень телефонныхъ обонементовъ".

4. უარეს მდგომარეობაშია გეოგრაფიის სწავლება. გეოგრაფია უნდა მიდიოდეს ხელი-ხელ ჩაკიდებული ისტორიასთან. მისი სწავლება ემყარება თითქმის იმავე პრინციპებს, რომლებიც დაცული უნდა იყოს ისტორიის სწავლების დროს. სოფელი, მაზრა, კუთხე, გუბერნია, მხარე. იმპერია. აი, ის კონცენტრიული წრეები, საფეხურეები, რომლებზედაც თან და თან უნდა აგვყავდეს მოსწავლეები და ვუფართოვებდეთ ჰორიზონტს. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვასა ვხედავთ. მოსწავლემ ხშირად მშვენივრად იცის, საიდან იწყება მდ. ვოლგა, ზეპირად ჩაგირაკრაკებს „ვაიგაჩ, კალგუევ, ნოვაია ზემლიას", გეტყვის რა და რა მადნებს ამუშავებენ ურალის მთებში, მაგრამ აბა ჰკითხეთ რამე თავის მაზრაზედ, თავის მხარეზედ! გაკვირვებული დაგიწყებთ ცქერას, თითქო ეს არის ეხლა ჩამოფრენილა ზეციდანაო.

ერთი სიტყვით, რომელი საგნის სწავლებაც გინდა ავიღოთ, ყველგან შევხვდებით აუარებელ ნაკლულევანებას, არევ-დარევას. ათავებს ბავშვი ორ კლასს, ხშირად 5, 6, 7 წელიწადსაც კი სწირავს მოწმობის მიღებას, სწავლის დასრულების დროს იცის რამდენიმე სახელმძღვანელო ზეპირად, მაგრამ ისე უსისტემოთ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, უთავბოლოდ არის შეხოხლებული ერთმანეთზე ეს ცოდნა, რომ ორი-სამი წლის შემდეგ ამდენი ხნის ნაწვავ-ნადაგი სადღაც ჰქრება.

სამწუხაროდ, ყოველივე ეს არ არის ნაყოფი ვინმე სკეპტიკის ან პესიმისტის ფანტაზიისა—ეს არის მწარე დასკვნები ულმობელი სინამდვილისა და დაკვირვება-გამოცდილებისა. მიზეზი?

მიზეზები აუარებელია. სხვათა შორის, როგორც ზევით ვსთქვით, შესაფერ სახელმძღვანელოთა უქონლობაც აფერხებს საქმეს. მოსწავლე იზეპირებს იმას, რაც არ ესაჭიროება, უსაჭიროესივე მივიწყებული აქვს. მასწავლებელი ასწავლის რაღაც შორეულს, ვერ შეხებია მას, რაც გარეშემო ახვევია და ახსნა-გაკვლევას თხოულობს. ან რა ჰქნას სოფლის მასწაველებელმა? რა ნაირათ გამოარჩიოს შესაფერი სახელმძღვანელო იმ უთვალავ წიგნებიდან, რომლებითაც ავსებულია თანამედროვე ბაზარი? მისთვის შეუძლებელია ყველა სახელმძღვანელოთა შექენა, გარჩევა, ღირსეულად დაფასება. ეს დიდ ცოდნას, მომზადებას, დროს და ხარჯს მოითხოვს, რაც სრულიად არ შეესაბამება, მასწავლებლების ქონებრივს და გონებრივ ავლადიდებას. საქმის ასე თუ ისე მოწესრიგება კი აუცილებელია. უკეთეს საშუალებად ამ შემთხვევაში ჩვენ მიგვაჩნია მასწავლებელთა ფართე და სისტემატიური კრებები და კურსები. მაგრამ ვინ არ იცის, თუ რა ძნელია ასეთი კრების ან კურსის მოწყობა. და აი, ჩვენც გარდავსწყვიტეთ საკუთარი ძალღონით შევუდგეთ ამ საძნელო საქმეს, შეძლების დაგვარად გავარჩიოთ რამდენიმე სახელმძღვანელო და შევჩერდეთ ისეთებზედ, რომელიც ყველაზედ უფრო შესაფერი იქნება ჩვენი სკოლებისათვის. წინდაწინვე ვგრძნობთ ჩვენს სისუსტეს, მოუმზადებლობას, ვგრძნობთ, რომ ერთობ ძნელ საქმეს ვიწყებთ, მაგრამ იმედი გვაქვს, სხვებიც გამოგვეხმაურებიან, დაგვეხმარებიან. ეს წერილიც ამ აზრით არის გამოწვეული. მისი საშუალებით ჩვენ თავს ნებას ვაძლევთ მივმართოთ ყველა ქართველ და არა ქართველ მასწავლებლებს და პედაგოგებს, ვისთვისაც ძვირფასია ახალთაობის სწავლა-აღზრდის საქმე, — დაგვეხმარონ ამ სიმპატიურ და სასარგებლო შრომაში. მოგვაწოდონ პრესის საშუალებით თავიანთი გამოცდილების ნაყოფი, შეხედულება ამა თუ იმ სახელმძღვანელოებზედ, მიგვითითონ მის ღირსება ნაკლულოვანებაზედ და ამით გაგვიადვილონ ეს საძნელო საქმე.

სერ. რუხაძე, პარ. ჭანიშვილი, ემედ. ლომთათიძე. ბართლ. მეგრელიძე. მირ. რამიშვილი. თეოფ. რამიშვილი, ხარ. მანთიძე.

P. S. ასეთივე წერილი გავგზავნეთ „ჩვენი გაზეთის" რედაქციაში. ვთხოვთ აგრეთვე ყველა ჩვენებურ გამოცემებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

## ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების კრება

**თავ. პავლე ა. თუმანიშვილის** თავჯდომარეობით კრებამ განაგრძო სარევიზიო კომისიის შენიშვნების განხილვა. უმთავრესი ყურადღება ქალთა გიმნაზიის საკითხმა მიიქცია. ამ ჟამად ქალთა სასწავლებელი ორი განყოფილებისაგან შესდგება. გამგე კომიტეტი და სარევიზიო კომისიაც იმ აზრისანი იყვნენ, რომ ეხლავე, ენკენისთვიდან უნდა გაიხსნას გიმნაზია. ქალებისა და ვაჟების საერთო სკოლები უნდა იქნას შემოღებული ოთხ კლასამდის. დიდი, კამათი იყო ამ საკითხის შესახებ ბევრი თხოულობდა დაუყოვნებლივ გახსნილიყო ქალთა გიმნაზია, სამაგიეროდ იყვნენ ისეთებიც, რომელნიც ამტკიცებდენ, რომ ქალთა გიმნაზიის დაარსება ნაკლებ სასარგებლოა. ეს გიმნაზია ისევე იქნება დატვირთული, როგორც ვაჟების გიმნაზია—და ნამდვილ ეროვნულ სასწავლებლად არ შეიძლება იყოსო. მაგრამ კრებამ მიიღო სარევიზიო კომისიისა და კომიტეტის აზრი და დაადგინა პირველ ენკენისთვიდანვე გაიხსნას გიმნაზია—პირველ განყოფილებაში თანასწორად მიიღებენ ქალებსა და ვაჟებს. სარევიზიო კომისიის აზრით გიმნაზიის გამგეს არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი ხმის უფლება გამგე კომიტეტში. არც შენობის ამგებს უნდა ჰქონდეს ეს უფლება. დიდი კამათი იყო იმ საგანზე. გიმნაზიის გამგემ დაასაბუთა, თუ რად უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი ხმის უფლება გამგე კომიტეტში, დაასახელა რუსეთის სხვა და სხვა საზოგადოებათა და ერობათა სასწავლებლები, სადაც გიმნაზიის გამგეს გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს მინიჭებული. კრებამ მიანდო გამგე კომიტეტს შეადგინოს ამაზე მოხსენება და მომავალ კრებას წარმოუდგინოს. ხარჯთ-აღრიცხვა ერთხმად უკამათოდ დამტკიცდა. მცირე კამათი გამოიწვია საკითხმა კომიტეტის წევრთა არჩევნების შესახებ. კრებამ დაადგინა კომიტეტების არჩევნები აგვისტოს ბოლოში ან სექტემბრის პირველ რიცხვებში მოხდეს.

კრება 12 საათზე დასრულდა

# თეატრი და ხელოვნება

**„განდეგილის" გასამართლება.**

პარასკევს, 11 ივნისს, სახალხო სახლში მოხდა ლიტერატურული გასამართლება „განდეგილი"-სა ილია ჭავჭავაძის პოემიდან. ბრალმდებლებად იყვნენ: შ. ელიავა და ვლ. ბაქრაძე, ხოლო დამცველებად—კ. ჯაფარიძე და ი. მაჭავარიანი. პირველად თავმჯდომარემ, სერ. ჯაფარიძემ წაიკითხა საბრალმდებლო ოქმი: ა) განდეგილი მოშორდა საზოგადოებას ბ) უდაბნოში ჩაიკლა რა თავისი ზრახვანი და მით წინააღუდგა ბუნების კანონს. ილაპარაკა ბრალმდებელმა შ. ელიავამ. დასდო ბრალი „განდეგილს" იმაში, რომ ის გაექცა საზოგადოებას, რომლისაც იქ ბრძოლა სწარმოებდა და უდაბნოში მშვენიერ ასულის ნახვის დროს გულში ჩაიკლა ზრახვანი და ლაჩრულად განუტევა სული. ვერავინ გაამართლებსო, სთქვა ბრალმდებელმა, „განდეგილის" საქციელს, რადგან ის თავისი ლაჩრული მოქმედებით საზოგადოებას ცუდ მაგალითს აძლევდა, საზოგადოებაში მუქთა-ხორა იყოო. მეორე ბრალმდებელმა ვლ. ბაქრაძემ ასეთივე ბრალი დასდო განდეგილს. მისი სიტყვები გარკვევით არ ისმოდა, დაწერილს სხაპა-სხუპით კითხულობდა; პარტერში გაისმოდა: „ხმა მაღლა, ხმა მაღლაო". დამცველთაგან პირველად ილაპარაკა კ. ჯაფარიძემ, რომელმაც უსაყვედურა ელიავას, რომ ასკეტიზმი აქ მოსაყვანი არ იყოო. მან უთხრა დამცველებს, არც ერთი ფაქტი არ აღნიშნეთ, რომელიც განდეგილის წინააღმდეგ ლაპარაკობდესო. ის ბრალდება—რომ განდეგილი საზოგადოებას გაექცა—უმართლოა: როდესაც მას არ შეეძლო საზოგადოებაში გამეფებულ ბოროტებასთან ბრძოლა, უმჯობესი არ იყო მყინვარს, ორბთა საბუდარს რომ მიმართაო? მეორე ბრალდებაც, თითქოს ის მუქთა-ხორა ყოფილიყოს საზოგადოებაში, უადგილოდ უნდა ჩაითვალოს, რადგან პოემა, რომლის მიხედვით ჩვენ ვასამართლებთ, არას გვეუბნებაო. „განდეგილს" დანაშაულობად არ უნდა ჩაეთვალოს, რომ მოვენატრა კოცნა ტურფა ასულისა, რაც სწრაფ შეინანა და სინანულში განუტევა სული.

მეორე დამცველმა ბ-ნმა მაჭავარიანმა აღნიშნა, თუ რად დაუტოვა „განდეგილმა" სოფელი და მიმართა ორბთა საყუდარს; განდეგილი სპეტაკი, ძლიერი სულის პატრონი ადამიანი იყო. ის, ასე ვსთქვათ, ჰარიჰარალით, არ წასულა მთაში. ასეთი ადამიანი მუქთა-ხორა ვერ იქნებოდა და თუ სცხოვრობდა სოფელში, სასარგებლო საქმესაც აკეთებდაო. უდაბნოში ქალთან შეხვედრის დროს წარმოუდგენელი ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინა, ჩაიკლა გულში თავისი ზრახვანი და ცრემლით განიბანა. ასეთ ადამიანის გამტყუნება არავის შეუძლიანო, დაამთავრა ი. მაჭავარიანმა. თავმჯდომარემ ხუთი წუთით შესწყვიტა სხდომა. კვლავ ილაპარაკეს ბრალმდებლებმა. ბაქრაძის სიტყვა სუსტი იყო, დაუსაბუთებელი. დამცველებმა მაჭავარიანმა და ჯაფარიძემ მოითხოვეს „განდეგილის" გამართლება. თავმჯდომარემ დასკვნა გაუკეთა ნალაპარაკევს და თავის მხრით დაიწყო კამათი, ლაპარაკი გააჭიანურა, რამაც ერთ-ერთ მაყურებლის სამართლიანი შენიშვნა გამოიწვია. გარეგნულად ლამაზი იყო მაჭავარიანის სიტყვა, საერთოდ, ქართული სუსტობდა. შინაარსის მხრივაც ეს ლიტერატურული გასამართლება ყველა ტფილისში გამართულ ლიტერატურულ გასამართლებაზე სუსტი იყო. ნაფიცმსაჯულებმა თავისი განაჩენი გამოაცხადეს: „განდეგილი დამნაშავეა, რომ საზოგადოებას გაშორდა, უკანასკნელ შემთხვევაში ის ღირსების მქონეა". ბევრი უკმაყოფილოდ შეხვდა ამ განაჩენს. ამ საღამოსვე წარმოადგინეს ფოცხვერაშვილის: „აშენდა საქართველო" მსახიობის ბ. შალიკაშვილის ხელოვნურმა თამაშმა (მანუჩარი) ბევრი აცინა საზოგადოება. წარმოდგენა გვიან გათავდა. ღამის 1 საათი იყო, რომ საზოგადოება დაიშალა. თეატრი სავსე იყო.

ფაზელი.

# განცხადებანი


**ლუფთა და ჩქარ წერას** ვასწავლი 10 გაკვეთილის მიცემით პირადად თუ წერილობით **დიპლომ. უნივერსიტეტის ატესტ**, ოქროს მედლით მოწაფეების კარგი წერისათვის. ხუთ შვიდ კაპეიკიან მარკის გამოგზავნით ვაგზავნი საცდელ წერილს, შრიფტის ნიმუშებს და პირობებს.
Одесса, проф. каллиграфіи А. КОССОДО Дерибасовская, д. Грузевича. (10—ფ.—1)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—118)

**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
უოველ დღე, კვირეებს გარდა
**დ ი ლ ი თ:**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6½ . საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

**გამოვიდა** და იყიდება: ტფილისში წ. კ. საზოგ., მერკვილაძის ... აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქების წიგნის მაღაზიებში ალ. თუთაევის კომედიები, მიძღვნილი ქართული თეატრის მსახიობთათვის მათის სურათებით: „ცოლი ვიტირო თუ ფული" მოძღვნილი ნატო გაბუნიასადმი, „უმარილის ბრალია", გედევან გედევანოვისადმი, „ბედმა მიღალატა" ვახო აბაშიძისადმი, „უზნო არშიყი" და სხვ. თუ ვისმეს სურს, გაეგზავნება 25 პროცენტის გამორიცხვით. წიგნის ფასი 10-20 კაპ. ადრესი: ტფილისი (დიდუბე) **ალ. თუთაევი.** (15—1)

**ლაგოდეხში** იყიდება ორი სახლი: ერთი მშვენივრად მორთული, ექვსი ოთახით სამზარეულოთი, მოსამსახურის ბინით, სამრეცხველოთი, ბაღით, ადგილი ყვავილებით და სხ.; მეორე—სამი ოთახით, სამზარეულოთი, ფარდულით, ბაღით. იკითხეთ: გაბილევისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, 97 წერი ლობითი მიმართვა: Въ Лагодехи, Габилеву. (2—1061—2)

**თვეში 150 მან.**
და მეტს უთუოდ აიღებთ, თუ იცით უცხო ენები. **მხოლოდ ჩვენს ამერიკულ სისტემაზე** შესწავლით 2—3 თვის განმავლობაში მასწავლებლის დაუხმარებლად **გერმანულ ენას, ფრანგულს ინგლისურსა და ლათინურს.**
ამ სისტემით აუცილებლად მიაღწევთ ხაწადელს. დიდძალი ქების წერილები მოგვდის. ფასი 1 ენისა 1 მ. 25 კ., 2-სა 2 მ. 25 კ. 3-სა 3 მ. 4-სა 3 მ. 75 კ. (მარკებითაც) იგზავნება დაუყოვნებლივ, უბეოდ.
С.-Петерб., Невскій 118 Т-во „Основа". N 1846 ალექ. ბელი ს. პ. ბ. (4—6. 3

—● CARVER COTTOH GIN CO, EAST BRIDGEWATER, MASS. ●—
**კარვერ კოტონ ჯინ და ამხ. ბრიჯევატერისა**
ამერიკაში
ა წ ვ დ ი ს
ყოველ-გვარ მანქანას ბამბის დასამუშავებელს, როგორც: ხელით სამუშავებელი და მოსამართი ჯინები ყველა ზომისა, ლინტერები და სხვა. სრული მოწყობა ბამბის გასარჩევ ქარხნისა პნევმატიურ მოწყობილებით.
**ერთად-ერთი წარმომადგენელნი მთელს რუსეთში**
**სავაჭრო სახლი ძმ. სტეპპუნები ბაქოში**
**განყოფილებანი:** მერვსა, კოკანდსა, **წარმომადგენლები:** ტაშკენტსა, ბაფრუმსა (სპარსეთი). ადმინ. **პოლაკ** და ამხ. ტფილისში, ტელეფონი N 27. სატეხნიკო სახ. **ე. გ. პისერისა** ტფილისში, ტელეფონი N 687. (ტ. 10—4)

ელექტრონის გილზის ფაბრიკა
**„როზა"**
(„ვარდი")
**ტფილისი, უჩებნის შესახვევი, № 5. ტელეფონი № 602.**
**საკვირველად მშვენიერი გილზები მეტად წმინდა ფრანგულ ქაღალდისა. იყიდება ყველგან.** (100—ტ.—28)

**საოცარი სიიაფე**
პ. ნ.
**დოროფეევის**
მაღაზიებში:
1) მთავარ მაღაზიაში—სოლოლაკისქუჩა და
2) იაროსლავისაში— მიხეილის ქუჩა, ლიუტერანთა ეკკლესიის გვერდით.
**ყოველდღე ჩვეულებრივ წესით**
**სეზონის გათავების გამო**
ყველა საზაფხულო ქსოვილები, დახატნული ტანისამოსი ტილოსი და ბატისტისა სარატოვის სარპინკა და სხვ. სეზონის საქონელი; ორი კვირის განმავლობაში ე. ი. 14 და 27 ივნისამდე გაიყიდება
**მეტად გაიაფებულ ფასებში.**
ფანჯრების თახჩებში (ვიტრინებში) გამოწყობილი იქნება ყველა საქონლის ნიმუშები დაკლებულ ფასის აღნიშვნით.
**მეტად დიდი იაფობა** (1—6.—1)

**სანერგე ამერიკულ ვაზისა**
„კლდ-ეგურული" ქუთაისში.
**● უდიდესი ასორტიმენტი რუსეთში ●**
1200 ამერიკული, ევროპიული და აზიური სასმელ და საჭმელ ყურძნის ჯიში და გიბრიდები.
**მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ განმარტებანი და პრეის-კურანტები.**
აქვე იღებენ ბავშვებს სამეურნეო მუშაობის შესასწავლად. (0—6.—46)




რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა,